საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტიენტი - სს „ლიბერთი ბანკი“-ს (ს/ნ: 203828304) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტიენტი - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/ნ: 203828304) „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 10 000 (ათი ათასი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული სანქცია მოიცავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების და „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებით გათვალისწინებული 2024 წლის წლიური ანგარიშის დადგენილ ვადაში წარუდგენლობას.